სახალხო გაზეთი

№ 746 შაბათი, 10 ნოემბერი 1912 წ. № 746

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული**.

სახალხო გაზეთი
სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა**.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 გიორგობისთვეს სოფ. ბოდბისხევში (ქიზიყი) გარდაიცვალა მთავარ-დიაკონ ისაკ ხოსიტაშვილის მეუღლე

ევდოკია (ევდო) მიხეილის ასული ხოსიტაშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულდამწვარი შვილები: ილიკო, თომა, ირადიონი, მარიამი, ბაბილინა, რძლები: ნინო გიორგის ასული ოლღა და მანანა და სიძე ნიკოლოზ კურდღელაშვილი. პანაშვიდები ყოველდღე საკუთარ სახლში. დაკრძალვა შაბათს, 10 გიორგობისთვეს, ბოდბისხევის ამაღლების ეკლესიის ეზოში. 1580.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხონის განყოფილების გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე და გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი

ივანე სიმონის ძე შარაშიძე,

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 ნოემბერს, ამა 1912 წ., დილის 11 საათზე. 1584.

სარრა და თევდორე ლლონტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ დის

ლუბა პავლეს ასულის გუნცაძისას.

ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრონ გამოსვენებას, შაბათს, 10 ამ თვეს, დაბა ლანჩხუთში, ნაშუადღევის ორ საათზე. 1583.

ხონის საზოგადოება აუწყებს ნაცნობთ, ნათესავთ და პატივისმცემელთ, რომ საზოგადო მოღვაწის

ივანე სვიმონის ძე შარაშიძის

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან ხონის წმ. გიორგის ტაძარში კვირას, 11 ნოემბერს, დილის 10 საათზე. 1588.

სოფელ კასპში, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მღვდელი დიმიტრი ხმიადაშვილი.

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 11 გიორგობისთვეს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა წმიდა თევდორეს ეკლესიის ეზოში, რასაც აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობთ განსვენებულის შვილები. 796.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 11 ნოემბერს,

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით **ჰენრიხ სენკევიჩის განთქმულ რომანიდან** გადმოკეთებული სობოლიშჩიკოვ-სამარინის მიერ **ცნობილი პიესა**

ვიდრე ხვალ, უფალო?!

დრამა 5 მოქ. და 7 სურ. თარგმნილი **აკაკის** მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, მარგარიტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გუნია, გედევანოვი, ხარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ქივიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი სად 8 საათზე. ადგილ. ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ხუთშაბათს, თხუთმეტ ნოემბერს, **წარმოდგენილი იქნება ,,ლალატი''.**

1578. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი**. ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

შაბათს, 10 ნოემბერს,

ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახ. ბ ნ **ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ტრ. რამიშვილის** 3 მოქმედ. დრამა

საბედისწერო დამბაჩა.

2) მორჩენება, ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, **პიერეტა**, ქართველიშვილი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი არშაკუნი, ნ. გოცირიძე, ვ. გამყრელიძე. ს. კავსაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ მეტრეველი, კ. ნინიძე. ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, ამბ. შანშიაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე.

შემდეგი წარმოდგ. 18 ნოემბ. ადგილ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. სად. 8 ს.**

1499 რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. ,,წრის'' ადმინისტრაცია.

ახალი კლუბი

შაბათს, 10 გიორგობისთვეს, 1912 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

1) „ზემო სართულიდან ჩამოხტომა“. ფარს-ვოდევ. 1 მოქ. მონაწილ. ქ-ნი ვ. ვ. ფონ-შულმანი, ო. ა. მილოსლავსკისა, ნ. ი. ლენინისა. ბ-ნნი: ლ. დ. ლეონიდოვი, ნ. ნ. ლვოვი.

2) სცენა მონასტერთან“ ოპერიდან „ჟიზნ ზა ცარია“.—მუსიკა გლინკისა მონაწილეობს ქ-ნი მიხაილოვისა.

3) დივერტისმენტი: მონაწილეობენ: ქ-ნი ბუკშტეინი, თ-დი ციციშვილისა, ბ-ნი ა. ი. ყანჩელი, კ. დ. ზელენსკი, ნ ნ. ლვოვი, ი. ა. ოსიპოვი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, გრიშაშვილი, აბაშელი. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა (ორკესტრი და საზანდარი). **დასაწყისი სადამოს 8½ საათზე.**

ადგილების ფასი თეატრში 1 მანეთიდან ერთ აბაზამდე ქანდარა **საყოველთაო**, 30 კაპ. ორ შაურამდე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს მამაკაცები 1 მან , მანდილოსნები 50 კაპ,

1536. საღამოს მოწეს-რიგე თავ. გ. ი. ამირაჯიბი.

წელიწადი მეთხუთმეტე.

დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე
სანდო,
გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

ტფილისი — ქუთაისი
მამია გურიელის ჩასახვევ-
ვი, მიქაძის სახლი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევსკის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი ხამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და სამშ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,606 '' 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. **წ. 1010.**

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა,

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და სადამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 777

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,მეგობრობა'', დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით;ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტას კვიტანცია. 1153

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ 1913 წლის 1 იანვრიდან **თავისუფალი იქნება ძმ. ზუბალაშვილების სამი სტიპენდია და ნ. ბ. ლოლობერიძის ერთი სტიპენდია.** ძმ. ზუბალაშვილების სტიპენდია შეიძლება მიეცეს მხოლოდ სამი წლის ვადით და როგორც უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეებს, ისე დაბალსა და საშუალო სპეციალ სკოლებისასაც. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნა : 1) მოწმობა იმ სასწავლებლისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, 2) მოწმობა ოჯახურისა და ნივთიერი მდგომარეობისა სტიპენდიის მთხოვნელისა და 3) სწავლის დასრულების მოწმობა, თუ მთხოვნელი ახლა აპირობს სწავლის გაგრძელებას.

თხოვნა მიიღება მხოლოდ 10 დეკემბრამდე 1912 წლისა. 1589

ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ

წლიურ კრების გაგრძელება

მოხდება კვირას, 11 ნოემბერს,

ქართულ თეატრში, შუადღისას. 1578

კავკასიის სამთო სამმართველო აცხადებს,

რომ მიმდინარე წლის 30 გიორგობისთვეს, ქ. ქუთაისში დანიშნულია შორაპნის მაზრის

შავ-ქვის მრეწველთა მე-XV მორიგი კრება

კავკასიის 1 სამთო ოლქის **ინჟენერ სტატსკი სოვეტნიკ აბრამ გრიგორის ძე ცეიტლინის** თავმჯდომარეობით **ქვემოდ აღნიშნულ საკითხთა განსახილველად:**

1. კრების მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა:
ა) კრების საბჭოსი.
ბ) სარევიზიო კომისიისა.
გ) მანქანებისა და ჭიათურის რკ. გზ. ლიანდაგზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტისა.
3. მაღაროების საწარმოვო რაოდენობის სტატისტიკურ ცნობათა განხილვა, რკინის გზების სადგურებზე მყოფ მადნის რაოდენობა და რაოდენობა გაზიდულ შავი ქვისა, გადასაზიდ საშუალებათა და საწყობ ადგილების მოწყობა კავკ. რკინ. გზ. როგორც ჭიათურისა ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. რომანოვების საგვარეულოს სამასი წლის მეფობის აღნიშვნა.
5. შავქვის გადასატვირთავ ელევატორის აგება ბათომში.
6. სამრეწველო მიდამოს ხეობებში ლიანდაგების გაყვანა.
7. მაღაროებში წყლის გაყვანა.
8. საბჭოს სხვა და სხვა საჭიროებათათვის ჭიათურაში სახლების აგება.
9. მდ. ყვირილისა და რიონის გასასუფთავებლად მისაღები ზომები.
10. **სარკინისგზო საკითხები:**
ა) შუამდგომლობა, რათა საბჭოს ნება დაერთოს ამიერ-კავკასიის სარკინისგზო ტელეფონებით სარგებლობისა.
ბ) სახალხო ვაგონების განათების გაუმჯობესება.
გ) პატარა ჭიქოურში შესაჩერებელ მანქანის გაკეთება.
დ) სად. შორაპნის გაფართოვება.
ე) დარკვეთსა და ჭიათურას შუა მეორე ლიანდაგის დაგების დაჩქარება.
ვ) ჭიათურაში საცალფეხო ხიდის გაკეთება.
ზ) სად. ჭიათურაში არსებულ გზების მოკირწყვლა და წესიერად მოვლა.
თ) ჭიათურაში არსებულ საწყობ მანქანებისა და ჯვარედინ გზათა განათება.
ი) მგზავრებისა და, შავქვის გარდა, სხვა მორიგისა თუ საქონლის გადაზიდვაზე ფასების განხვრა.
კ) სხვა საკითხები, რომელიც შავქვის გადატანის გაუმჯობესებას ეხება.
11. შავი ქვის სამრეწველოებში, მრეწველთა მოსამსახურეების სამკურნალო საქმის უზრუნველყოფა.
12. სამრეწველოს საავადმყოფოს გაფართოვება და საფერშლო პუნქტების დანაწილება რაიონებად.
13. ახალ კანონის მიხედვით მაღაროს მუშათა და საავადმყოფოს დაზღვევა.
14. ს. ჭიათურის გადაკეთება პოსადად და იქ უბრალო თვითმმართველობის შემოღება.
15. ჭიათურის სამოქალაქო სკოლის გადაკეთება სამთო-სატეხნიკო განყოფილებით.
16. ჭიათურის საქალებო სასწავლებლის მიღება საბჭოს გამგეობაში
17. საბჭოს სხვა და სხვა საჭიროებათათვის სათადარიგო ფონდის დაარსება.
18. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
19. თანამდებობის პირთა არჩევა. 1582

ტფილისი

საბურთალოზე

☛ მშვენიერ ალაგას, ☚
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს. დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (ფ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

გ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისა 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
წამლობა „606"-ით. 1018

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საშვილოსნო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1530

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1740

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ი. ე. ჯაში განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა კლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 8—11 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

სამტრედიაში
ექიმი ე. ქ. აბულაძე ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე სწამლობს 606-ით. 1576

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

სომხური პრესა

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო „სახალხო გაზეთში" მოთავსებულ არჩილ ჯორჯაძის წერილის შესახებ გაზ. „ჰორიზონი" სწერს.

„შოვინიზმსა—ცრუ პატრიოტობას, რომლის უმთავრესი მიზანი მტრობის დათესვაა სხვა და სხვა ტომთა შორის —ყოველ ერთა ცხოვრებაში მოქმედების ერთი ხერხი, ერთი საშუალება აქვს: დამახინჯება ფაქტებისა. ამისათვისაც ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ქართველი შოვინისტი სახელმწიფო სათათბიროს ტფილისის არჩევნებს „მცირე—აზიიდან გადმოგდებულ ჯაჭვის ერთ ალყად" აღიარებს. ცრუ პატრიოტობას შეუძლიან ჯერ კიდევ მრავალ უსაფუძვლოების წყაროდ გადიქცეს.

„სახალხო გაზეთი"-ს მოპყრობა სომხებისადმი—„ჰორიზონის" მკითხველთათვის ცნობილია. რათა სურათი მთლიანი ვყოთ, ქვემოდ მოვყავს ზემოხსენებულ გაზეთის № 736-ში დაბეჭდილი ბ. არჩილ ჯორჯაძის ვრცელი წერილის მხოლოდ ერთი ნაწყვეტი, რომელიც უკეთესად დაამტკიცებს, თუ რამდენად ღრმად დაუჭრია ბ. ჩხეიძის გამარჯვებას ბ. „პუბლიცისტის" გული; ამ მოვლენის ასახსნელად ეფრატის წყაროებამდე მისულა და ანდრონიკაშვილის გაშავებას მთელს სომხის ერს აწერს".

ამის შემდეგ მოყვანილია ბ. ჯორჯაძის წერილიდან ციტატები. წერილი ამ სიტყვებით თავდება:

ბ. ჯორჯაძე შეიძლება კავკასიელ სომეხთათვის კარგად ცნობილი ველიკოს ღირსეულ შეგირდად ჩაითვალოს, მაგრამ დრონი გამოიცვალნენ, პროვოკაცია აწმყოში უძლურია, ქართველ და სომეხ ხალხთა შორის გამოცდილი მეგობრული კავშირი დაარღვიოს.

სწერეთ, რამდენიც გსურთ, ბ. ჯორჯაძეებო: ამით თქვენ მხოლოდ ქართველ ხალხის მძულვარებას დაიმსახურებთ.

ჩვენ მას უკეთესად ვიცნობთ".

„ჰორიზონ"-ი დარწმუნებულია, რომ, თუ ბ-ნ ჯორჯაძეს პროვაკატორს დაუძახებს და ყველა იმათ, ვისაც სომხის ბურჟუაზიის უცნაურ საქციელის ახსნა აინტერესებს, ნაციონალისტებსა და შოვინისტებს უწოდებს, საქმეც გაკეთდება და ერთბაშად სოლიდარობა და სათნოება დამყარდება კაცთა შორის. „ჰორიზონს" რომ საკითხის გამორკვევა აინტერესებდეს და არა მყვირალა ფრაზები, რომელნიც კი არ არკვევენ საკითხს, არამედ ართულებენ და ბურუსში ჰხვევენ, გვიპასუხებს შემდეგს კონკრეტულს კითხვებზე:

1) რა მიზეზით შეიძლება მისცეს ხმა ბურჟუა-სომეხმა სოციალ-დემოკრატს მაშინ, როდესაც არსებობს კანდიდატი, რომელიც უფრო შეეფერება მას თავისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულობით; 2) რად დასჭირდათ „სოლოლაკელებს" კადეტთა ცალკე სიით გამოსვლა მესამე საარჩევნო უბანში, თუ საბოლოოდ კადეტების ხმა კადეტს არ მიემატებოდა? 3) რითი ჰხსნის ამ მოვლენას თვით „ჰორიზონი"?

თუ ჩვენი განმარტება და დაფასება მოვლენისა სწორე არ არის, თვით „ჰორიზონმა" აგვიხსნას, და ჩვენც ყურს დაუგდებთ; თორემ მყვირალა ფრაზებით ფონს ველარ გახვალთ; წავიდა ის დრო, როდესაც სიტყვებში ჰპოულობდნენ ხსნას. გავიხსენოთ რა იდუმალი გულის ზრახვა ამოძრავებდათ იმ პირთ, რომელნიც, წინააღმდეგია თავიანთ ზომიერ რწმენისა, ხმას მაინც სოციალ-დემოკრატს აძლევდნენ? სანამ ამ კითხვებზე პასუხს არ მივიღებთ, კამათსაც არ დავიწყებთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მეფის მოადგილეს წარუდგა** 8 ნოემბერს ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი იეროფეი.

✦ ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულს სერგო რაზმაძეს, თელავის მცხოვრებს, ნება დართეს, **სამშობლოში დაბრუნდეს** იმ პირობით კი, რომ ტფილისის მაზრაში არ იცხოვროს.

✦ **სიონის საკათედრო ტაძრის ეზოს გაფართოვება** საბოლოოდ გადაწყვეტილია. საჭიროა შეძენა თავ. ნ. ვ. არღუთინსკისა და სახელმწიფო ქონებათა ტფ. სამმართველოს მიწებისა, რომელიც ტაძრის გარშემო მდებარეობს. მიწის ყიდვის თაობაზე ქალაქის გამგეობამ თავ. არღუთინსკისთან უკვე მოლაპარაკება გამართა. მოკლე ხანში აღძრულ იქნება შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველომაც დაუთმოს 24 ოთხკუთხი საჟენი თავის მიწისა.

✦ **ქალაქი და კახეთის რკინის გზა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, კახეთის რკინის გზას იაფად დაუთმოს საქალაქო მიწა ნავთლუღში, საჟენი 2 მანეთად. რკინის გზის გამგეობას ქალაქის გამგეობა გუშინ შეეკითხა, თანახმა ხართ ამისა თუ არაო.

✦ **ახალი რკინის გზა.** უმაღლეს კარის კამერ-იუნკერი თავ. პ. ი. თუმანიშვილი შუამდგომლობს, რათა ნება ურთონ, რკინის გზის გასაყვანად გამოკვლევანი მოახდინოს კახიდან რუსეთის ასტარამდე. გზას 400 ვერსი ექნება.

✦ კვირას, 11 გიორგობისთვეს, ტფილისის ბერძენთა ეკლესიაში, ხარფუხში, დანიშნულია მრევლის საზოგადო კრება ეკლესიის მნათის **ასარჩევად**.

✦ **შეწირულება.** კოლეჟსკი სოვეტნიკის ქვრივმა ეკატირინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილმა ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიას 500 მან. შესწირა.

— ამავე პროგიმნაზიას მედიკამენტებით ერთი შკაფი (ღირებული 40 მან.) შესწირა ავლაბრის აფთიაქის მეპატრონემ ი. ი. ზოლოტნიცკიმ.

✦ **ალექსანდრეს საქალაქო სამკურნალოს ახალ შენობის კურთხევაზე,** რომელიც დანიშნულია 11 ნოემბრისთვის, ნაშუადღევის პირველს საათზე. ქალაქის გამგეობამ ბარათებით დიდძალი ხალხი მიიწვია როგორც მთავრობის წარმომადგენელთაგან, ისე სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებიდან.

✦ **თავის მოკვლა.** 8 ნოემბერს, დილის 11½ საათზე, თოფით თავი მოიკლა კავკასიის საპიორთა პირველ ბატალიონის ჯარის კაცმა გრიგოლ სტეფანეს ძე კუზნეცოვმა. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ **მებამბეთა კრების მონაწილენი** ტფილისიდან თურქესტანს მიემგზავრებიან, სადაც დაესწრებიან იქ დანიშნულ მებამბეთა კრებას. კრება იმავ პროგრამით მოხდება, როგორითაც ტფილისში. დაიწყება 25 ნოემბერს.

✦ **ტრაგიკულად გარდაცვლილ გიმნაზიელის შორის გენიკის გვამი გუშინ მიაბარეს მიწას** კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. დასაფლავებას, სხვათა შორის, დაესწრნენ განსვენებულის ამხანაგები: მეორე გიმნაზიის მოსწავლენი. სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ნაამხანაგარმა ბოროვიცკიმ, რომელსაც სიტყვა პოლიციელმა შეაწყვეტინა.

✦ **თავისუფალი სტიპენდიები.** როგორც ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გამოარკვია, 1913 წლის 1 იანვრიდან განთავისუფლდება 4 სტიპენდია: ერთი—ნ. ლოლობერიძისა და სამი—ზუბალაშვილების სახელობისა. ეს სტიპენდიები მიეცემათ არა მარტო უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებს, არამედ საშუალო და დაბალ სპეციალურ სასწავლებლებისასაც. თხოვნები მსურველებმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში უნდა შეიტანონ 10 დეკემბრამდე.

✦ **წყლის ხმარების კანონპროექტი.** 7 ნოემბერს, მეფის მოადგილესთან, დასრულდა ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა და გუბერნიების სხვა წარმომადგენელთა კრება, რომელმაც განიხილა წყალთა ოლქის მიერ შედგენილი კანონპროექტი ამიერ-კავკასიაში წყლის ხმარების შესახებ, კრებამ კანონპროექტი მცირე ცვლილებებით მიიღო. ამ კანონ-პროექტით ყოველ გუბერნიასა და მაზრაში უნდა დაარსდეს საგანგებო საკრებულო, რომლის წევრებადაც იქნებიან სპეციალისტი ჰიდრავლიკები და საადმინისტრაციო და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

✦ გუშინ დილით ტფილისში ჩამოასვენეს პეტერბურგის უნივერსიტეტის **სტუდენტის თავ. ვახვახიშვილის გვამი.** როგორც მკითხველებმა იციან, თავ. ვახვახიშვილი ვოლგაში დაიხრჩო ბანაობის დროს. გვამი მიწას მიაბარეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს კრებას,** რომელიც 12 ნოემბრისთვის არის დანიშნული, 14 წვრილმანი საქმე აქვს განსახილველი.

✦ **ქალაქის საბჭოს კომისიებში** სახალხო სახლის გამგე კომისიის კრება დღეს მოხდება.

— სატყეო-საბაღოსნო კომისიის კრება 12 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებაში.** 8 ნოემბერს საზოგადოების გამგეობის კრება მოხდა. გამგეობამ საჭიროდ იცნო, წიგნების გამოცემის საქმე გააუმჯობესოს. შესაფერ ღონისძიებათა შემუშავება გამგეობის წევრს ლ. ბოცვაძეს დაევალა.

საზოგადოების სარევიზიო კომისიის კრება დღეს მოხდება.

ილიას საღამო ხარკოვში

ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თაოსნობით, კვირას, 4 ნოემბერს უნივერსიტეტის სადღესასწაულო დარბაზში, გაიმართა უფასო სალიტერატურო საღამო ილიას დაბადების 75 წლის თავის აღსანიშნავად. საღამო დაიწყო საღამოს 7 საათზე პროფ. ბროდოვიჩის სიტყვით, რომელმაც გახსნა სხდომა: მან მოკლედ გააცნო საზოგადოებას ილიას მოღვაწეობა და წინადადება მისცა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ დიდებულ მგოსნის ხსოვნისათვის.

სალიტერატურო განყოფილება დაიწყო სტ. გრ. ამაშუკელის ლექსით, რომელიც თვით ავტორმა ქართულად წაიკითხა. სტუდ. კ. ცაგარელმა წაიკითხა რუსულად ილიას ბიოგრაფია.

წაიკითხეს მშვენიერად ლექსები ქართულად და რუსულად სტ. ივანოვმა, ვლად. წერეთელმა, არეშიძემ, ბერეკაშვილმა, ტ. რონიაშვილმა და გამრეკელმა. საკუთარი ლექსი წაიკითხა ქართულად დ. ელიოზიშვილმა.

საზოგადოება აღფრთოვანებაში მოიყვანა სტ. ალ. წერეთლის სიტყვამ ილიას სახსოვრად, რუსულად წარმოთქმულმა. მშვენიერი და შინაარსიანი რეფერატი წაიკითხა სერგო ბარამიძემ—მან სავსებით დახასიათა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, განმარტა მისი იდეალები.—მესამე რეფერატი წაიკითხა სტ. შალ. ბერიძემ რუსულ ენაზე. რეფერატი მეტად გრძელი გამოდგა, თუმცა შინაარსს არ ყოფილა მოკლებული. საღამომ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის ზედმეტი არ იქნება მკითხველს გადავსცე საუბარი პროფ. სუმცოვისა, იგი გამოჩენილი პროფესორია ხარკოვის უნივერსიტეტში, არის დეკანი ფილოლოგიურ ფაკულტეტისა. როდესაც პირველი განყოფილება გათავდა, პროფესორი მხიარული სახით გვეწვია კულისებში და ღიმილით მადლობა გადაგვიხადა.—მადლობას გწირავთ, სთქვა, რომ ასეთი სიამოვნება მომანიჭეთ—დიდად საქებურია, რომ ქართველობა ასე მხურვალედ დღესასწაულობთ თქვენს მგოსანს. თქვენი ბედი, დიდათ ჰგავს ჩვენს უკრაინელების სვე-ბედს, ერთნაირი ისტორიული პირობები გვხდა წილად, მაგრამ იმედი წინ არის, განაგრძეთ მუშაობაო"... საღამო დამთავრდა საღამოს 10 საათზე მრავალი საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

დია ჩიანელი.

ბამბის მრეწველთა კრება.

(დასასრული *)

ბოლოს კრება შეუდგა მესამე სექციის რეზოლიუციების განხილვას, რომელიც მუშაობდა ა. კნიზეს ხელმძღვანელობით. სექციის აზრით საჭიროა: 1) ბამბის სამრეწველო რაიონებში გავრცელდეს მთელი რიგი საცდელ დაწესებულებათა, რომელნიც იმუშავებენ საერთოდ სოფლის მეურნეობაზე და კერძოდ ბამბის მრეწველობაზე; 2) ამ დაწესებულებათა მოღვაწეობის გასაერთიანებლად, მათ სათავეში ედგათ საოლქო სასოფლო-სამეურნეო სადგური: 3) სადგურისათვის—საუკეთესო ადგილია ქალაქი ტფილისი, როგორც კულტურული ცენტრი კავკასიისა. 4) საჭიროა გაიმართოს საცდელი მინდვრები ერევნისა და განჯის გუბერნიებში, კახეთში—ალაზანის გაღმა მხარეს, და დაღესტნის ოლქში. 5) საცდელ ორგანიზაციებთან უნდა მოეწყოს საბჭოები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სოფლის მეურნენი და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ეს საბჭოები უხელმძღვანელებენ ორგანიზაციების მუშაობას. 6) იშუამდგომლონ მიწათ-მოქმედების მთავარ გამგეობის წინაშე, რომ აღნიშნული საცდელი ორგანიზაციები მალე მოაწყოს და ამ საქმისათვის საჭირო თანხა გადასდოს. 7) ბამბის მრეწველობის შესახებ უმთავრესი მიზანი სასოფლო-სამეურნეო საცდელ საქმისა იქნება: ა) მიწის მოსავალის შენახვა, თესვისა და დანოყიერების შეწყობით, ბ) ბრინჯის კულტურის შესწავლა იმ მხრივ, თუ რა გავლენა აქვს მას მიწის სინოყიერის აღდგენაზე და „სოლონჩაკებთან" ბრძოლა, გ) მორწყვის ზომების გამოკვლევა და მისი ტეხნიკის შემუშავება, დ) ბამბის ხარისხის ამორჩევა და მისი სელეკცია, ე) სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნე მწერების შესწავლა და მათთან ბრძოლის საშუალებათა გამოკვლევა; 3) საცდელ საქმის ადგილობრივ მოღვაწეთა პერიოდული კრებები, და მათზე საზოგადო ორგანიზაციების და მეურნეების დასწრება.

1) ყოველ რაიონში ცალკე ინსტრუქტორი უნდა დაინიშნოს; 2) საინსტრუქტორო პუნქტები კარგად უნდა იქმნას მოწყობილი იარაღებით, პრიბორებით, თვალსაჩენ სახელმძღვანელოებით, სამკურნალო მასალებით და სხვა. 3) საჭიროა ინსტრუქტორებმა ადგილობრივი ენები იცოდნენ; გარდა ამისა მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა, კოოპერატივების ორგანიზაციაში და ხელი შეუწყონ ახლების მოწყობას. 5) ინსტრუქტორებს ხელ-ქვეითად უნდა ჰყავდეთ ბამბის მრეწველობაში გამოცდილი მუშები. მოსამზადებლად შეიძლება სარგებლობა შესაფერ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებით და სამაგალითოდ დაყენებულ მეურნეობით. 6) ინსტრუქტორების მოსამზადებლად საჭიროა ამიერ-კავკასიაში რაც შეიძლება მოკლე ხანში გაიხსნას საშუალო ტიპის სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი. სექცია საჭიროდ სცნობს: მოეწყოს საცდელი მინდვრები, რომელთაც განაგებდნენ ინსტრუქტორები ბამბის თესვა ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს, საჩვენებელი უბნები კი უნდა მოეწყოს სოფლის მეურნეების ბინებზე, იმ პირობით რომ ამ ბინებზე მუშაობაში მფლობელმაც მიიღონ მონაწილეობა. ბოლოს სექცია საჭიროდა სცნობს სასოფლო სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას ხალხში და კერძო ბამბის მრეწველების წარმოების ხელის შეწყობას. პირველის შესახებ სექციამ დაადგინა 1) მოაწყოს კურსები, კითხვანი, ბამბის მრეწველობის შესახებ საუბრები და წვრილ კოოპერატიულ სასოფლო სამეურნეო გამოფენები. 2) ფართოდ გაავრცელოს ხალხში ბროშიურები, ბამბის მრეწველობის შესახებ დარიგებანი, როგორც რუსულ ისე ადგილობრივ ენებზე. მეორე საკითხის შესახებ კი კრებამ სასურველად სცნო ბეჯითობისათვის და კარგი ხარისხის ბამბის მოყვანისათვის კერძო მრეწველთ მიეცეს ჯილდოები და საჩუქრები ადგილობრივ გამოფენებზე.

თავ. მასალსკი. წინააღმდეგია რომ სადგური ტფილისში გაიხსნას, რადგანაც შეძლება ცოტაა და ტფილისიდან 30 ვერსის მანძილზე სოფ. ყარაიაზში მშვენიერი საცდელი მინდორია გამართული. მას შესწორება შეაქვს სადგური ყარაიაზში გახსნან. მას უპასუხებს ბ-ნი **ჯუნკოვსკი,** კრებამ უარჰყო თავ. მასალსკის შესწორება და ერთხმად მიიღო რეზოლიუციები სექციის რედაქციით. შემდეგ თავმჯდომარემ აღნიშნა თუ რა შედეგებს მოიტანს ეს კრება. უსურვა დამსწრეთ ნაყოფიერი მუშაობა და ნება ითხოვა კვლავ გაგზავნოს უქვეშევრდომილესი დეპეშა. კრება ხანგრძლივი ტაშის კვრით შეხვდა ე. ა. ვატაცის სიტყვას. კრების მხრივ ე. ა. ვატაცის სამადლობელი სიტყვები უთხრეს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა და ბ-ნმა მურადიანმა. კრება დაიხურა 4 საათზე.

მემამულეთა საყურადღებოდ

დღევანდლამდე ჩვენი გლეხები ვერ მიხვდნენ, რომ ვაზის წამლობა შაბიამნით და გოგირდით მილდიუს და ობის წინააღმდეგ აუცილებელია. დღეს ქართლში შეხვდებით იმისთანა პირებს, რომ ვაზის წამლობის წინააღმდეგია, თუ ბევრი სწამლობს ერთმანერთის მიხედვით, დრო დადგება წამლობისა ყველა გაფაცუცებით ემზადება, მაგრამ დანამდვილებით კი არ იციან რამდენ ვედრა წყალს, რამდენი გირვანქა შაბიამანი, კირი და გოგირდი უნდებაო (ამ უკანასკნელს სრულებით არ ხმარობენ). წამალს ამზადებს როგორც მისი გონება და თვალი გასჭრის, ხელით ნახავს წამალი სქელია თუ თხელი, ვითომდა თვალად აუწონლად იგებენ. (სასწორი ამათში არ არის მიღებული) აი ამ წესით წამლობით თითქმის ნახევარზე მეტს გაუფუჭდა ვენახები, ყურძენი დალპა, გახმა, ძირს ჩამოცვივდა. ვისაც ასი ძირის [illegible] ჰქონდა, მოუვიდა ოცი, ორმოცი კოკა. ამის [illegible] რებს არა სწამთ სწავლულების [illegible] რიგება. [illegible] მლავად დავიქირავე აქური მუშები, როდესაც ვიდექ და სასწორით ვამზადებდი წამალს, ისინი იცინოდნენ, ამბობდნენ რა წონა უნდა ამასაო, ჩვენ თვალად ვამზადებთ წამალსაო. სწორედ ამ ბატონებმა უწამლეს თავიანთ ვენახს, რომ ფოთოლი და ყურძენი სულ ერთიანად შეეწვა ვაზზედ. თურმე ამათ თვალად მიუციათ ზედმეტი შაბიამანი და კირი. ამის გამო წლეულს მათ მიიღეს სულ ცოტა ღვინო.

ვიდრე საქართველოში ყველა დიდრონ გამოჩენილ სოფლებში არ დაარსდება სამეურნეო სკოლები, მინამ ჩვენი გლეხობა არ მიანებებს თავს ძველებურ მამა-პაპის ჩვეულებას.

ბამბის თესვა-მოყვანაზე ცოტა რამ უნდა მოგახსენოთ. ქართლში, სოფ. კასპში თუმცა ბამბის თესლი უნდა დაითესოს აპრილის ნახევრიდან ან ოციდან, მაგრამ მე შემთხვევით მომიხდა მისი თესვა მაისის თხუთმეტიდან. თესლი შევიძინე სამეურნეო საზოგადოებაში. რადგანაც დათესვის დრო დაგვიანებული იყო, თესლი ხუთი დღით დავალბე ნელ-თბილ წყალში, რომ მას მოლბობოდა მაგარი კანი. დავთესე რიგზე, ერთი ძირი მეორეს შორავდა სამი ჩარექითა, ერთი რიგი მეორესაგან ერთი არშინითაა გაშორებული. ამოვიდა ოცდა ორ მაისს, ყვავილი დაიწყო ოცდა ხუთს მკათათვეს. შემდეგ გაიკეთა პარკი, თორმეტ ენკენისთვიდან პარკი დასკდა, ოც ენკენისთვიდან დავიწყე ბამბის კრეფა. რადგანაც წლეულს აუტანელი გვალვა იყო, ამის გამო ბამბა ადრე შემოვიდა. კრეფა გაგრძელდა თხუთმეტ ღვინობისთვემდე. ძირები გაიკეთა შუათანა, გაიზარდა სამი ჩარექის სიმაღლეზე, თითო ძირზე ექვსიდან დაწყებული თორმეტამდისინ პარკი. მთელ ზაფხულის განმავლობაში ორჯელ გავთოხნე მიწა, ერთხელაც მოვრწყე. ოცმა ძირმა მომცა თესლიანად სამი გირვანქა ბამბა. როგორც ბ. ტარატინევი იხსენიებს თავის წიგნაკში ერთი დესეტინა მიწა იძლევა სამას მანეთის ღირებულ ბამბასაო. მართალია, ქართლ-კახეთში იქნება იმდენა არ მოვიდეს, როგორც მოდის ყარაიაზში, მაგრამ იმის ნახევარიც რომ მოვიდეს, ისიც კარგ მოსავლად ჩაითვლება.

იმედი გვექნება ჩვენი მემამულენი სამმრისოდ სცდიან ბამბის თესვას და მის შედეგს გამოაცხადებენ გაზეთის საშუალებით.

საცდელად ნახევარ დღიურზე ბამბა უნდა დავთესო.

ბალოსანი ა. დარეჯანაშვილი.

ჯაჭვის (ჯვარის) მონასტერი და მოძრავი სკოლა.

ამ წლის 15 ოქტომბერს გაზეთ „თემი"-ს № 93-ში წერილი იყო მ. ჯანაშვილისა, რომელიც მოკლედ აღწერავს ჯაჭვის მონასტრის ისტორიას მცხეთის პირდაპირ არაგვის გაღმა. სასახელოდ მიგვაჩნია ქართველებს, რომ ამისთანა დიდებული ტაძარ-მონასტრები მრავლად არის საქართველოში აღშენებული ჩვენ მამა პაპათა მიერ და ჰმოწმობენ იმას, რომ იგინი ყოფილან სჯულისა, ეკლესიისა და სამშობლოს უზომოდ ერთგულნი და მოტრფიალენი. თუ ასე არ ყოფილიყო, მაშ როგორ შესძლებდნენ ამ უზარ მაზარ შენობების გაკეთებას, იმ მაღალ მთებზე და კლდეებზე, სადაც დღეს ჩვენს სიამაყეს და ჩვენს მამაპაპათა დიდებას შეადგენს ეს ძველი ნაშთნი, იმდენად ჩვენვე გვარცხვენენ და ამტკიცებენ ჩვენს დღევანდელ არარაობას და დაკნინებას, რომ რაც მამა პაპამ გადმოგვცა და ჩაგვაბარა მას ველარ ვპატრონობთ, ვერ ვუვლით. რამდენი დრო, რამდენი შრომა და რამდენი ენერგია იყო საჭირო ამ ტაძარ-ციხე-კოშკებ-მონასტრების ასაშენებლად, მაგრამ ერთი პირით და ერთი გულით იგინი ყოველივეს სძლევდნენ და აკეთებდნენ. ჩვენ კი იმდენად დავეცით, რომ ამ დიდებულ ნაშთებს ერთი ქვის გამოცვლა დასჭირდეს კედელში, ისიც ველარ მოგვიხერხებია და გულცივად შევცქერით ყოველივე ამას და დღითი დღე გვექცევა თავზე ეს ისტორიულნი ნაშთნი და ლამის მთლად აღიგავოს დედამიწის პირისაგან.

ჯაჭვის მონასტერი მიწერილია დღეს ტფილისის ფერისცვალების (დარიის) მონასტერზე, იქ სცხოვრობს ეხლა ერთი ბერი, რო-

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 744.

მელსაც აძლევს ჯამაგირს დარიის მონასტერი. ჯაჭვის მონასტერს არაფერი საშუალება არა აქვს და არც მამული და მიტოვებულია ღვთის ანაბრობაზე და ჩვენ ქართველების იმედზე. ეკლესიაში წვეთი ჩამოდის და სჭირდება გადახურვა, რომ მთლად არ დაიქცეს ეს დიდებული ძეგლი. ამისათვის განზრახვა აქვს ეპისკოპოს ანტონის, როგორც წინამძღვარს, მისი მოვლა და პატრონობა, მაგრამ სახსარი არ არის. იმედია, არავინ დაიშურებს და ვისაც რა შეუძლიან მიაწოდებენ ეპ. ანტონს.

ამასთანავე ეპ. ანტონს განზრახვა აქვს, რომ იქ ააშენოს წელსვე რამდენიმე საზაფხულო ოთახი და ზაფხულობით გადაიტანოს სადიაჩოკო სკოლა, რომელიც არსებობს დარიის მონასტერში ეს მეორე წელიწადია.

დიდ მადლობას ვწირავთ ბ.ბ. ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, გრიგოლ დიასამიძეს და პოლკოვნიკ ანტონ ივ. არჯევანიძეს, რომელთაც პირველ ორთ შემოსწირეს ჯაჭვის მონასტრის გასაახლებლად ხუთ-ხუთი მანეთი, და ხოლო [illegible]ელმა ერთი თუმანი.

ულრის ბერი.

ბედნიერების საიდუმლო

(ფიქრები ბავშვებისა და მოზრდილების შესახებ).

ერთხელ ბავშვების თამაშობას ვადევნებდი თვალ-ყურს ქალაქის ბაღში და ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ არა ვგევართ ბავშვებს ჩვენ, ეგრედწოდებული დინჯი, მოზრდილი ადამიანები. ნუ თუ მოზრდილ ადამიანს, ბედის წერის ძალით, თავის დღეში ველარ შეინარჩუნებს ბავშვებიდან სიცოცხლის ტრფიალებას, სულის უმწიკვლო ანკარას, ე. ი. უმანკოებას.

ბავშვები ადამიანები არიან, ჩვენც ადამიანები ვართ; მაგრამ დახედეთ, რა დიდი მზღვარია ჩვენსა და მათ შუა. თითქო ჩვენ და ბავშვები სრულებით განსხვავებული, არა მეგობრულად, არამედ უფრო ხშირად ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი ორი ქვეყნის მცხოვრებელნი ვიყვნეთ.

ზოგჯერ სწორედ შიში გეუფლება, როცა ბავშვს თვალებში დააცქერდები: ჰხედავ შენ თვალ-წინ სიცოცხლით სავსე პაწია ადამიანს, შენ თავს კი ჰგრძნობ სანახევროდ მკვდარ, სიცოცხლეშივე უდროოდ მიმქრალ ადამიანად.

რა არის ამის მიზეზი? ჩვენც ხომ ყველანი თავის დროზე ბავშვები ვიყავით. ჩვენშიაც სდუღდა ცხოვრების განთიადზე სიცოცხლის ანკარა ჩქეფი და შიგ ელვარებდა ადამიანის სულის რაღაც საიდუმლო სამშობლოს ნათელი სხივი. ის სიცოცხლე, რომელიც ახლა ასე მძიმედ მიაგორებს თავის მღვრიე ტალღებს მოზრდილი ადამიანის სულის სიღრმეში, ოდესმე ისეთი მსუბუქი და ანკარა იყო ბავშვობის დროს, თავის სათავეში. რამ აამღვრია იგი, საიდან გაჩნდა შიგ ეს სულის მჩაგრავი მძიმე ტალახი?

ნუ თუ ჩვენი სიცოცხლის კანონი იმდენად უაზრო და ულმობელია, რომ, ფათერაკის ძალით, უდროოდ უნდა გაანადგუროს ის, რაც თვითონვე გაუჩენია? ნუ თუ ზესთა ძალთა განჩინებით ამ სიცოცხლეში, ჯერ კიდევ შუა გზაზე, თვის აღსასრულამდის, მძიმე უროთი უნდა დაამსხვრიოს და ნაგავად აქციოს მოზრდილი ადამიანის სულის სიღრმეში ის მრავალნაირად მშუქარე ალმასი, რომელიც თვით მას შეუქნია და ბავშვის, ამ პაწია საყვარელ ადამიანის სულის სიღრმეში ჩაუნერგია?

რაც უფრო ღრმად უფიქრდები ცხოვრების ამ საგულისხმო საკითხს, მით უფრო რწმუნდები, რომ შეუძლებელია ეს ასე იყოს. ყველა ჩვენი უბედობა იქიდან სწარმოებს, რომ ჩვენ სწორ გზას ავცდით, საცოდავად დავიბენით, ჩვენი თავი მოზრდილ, ბრძნულად გამოცდილ ადამიანებად წარმოვიდგინეთ, იმ დროს, როცა ჩვენ მხოლოდ ჩვენივე თავის უცოდინარი, მოზრდილობის მანიით შეპყრობილი, ბავშურად უვიცი ადამიანები ვართ.

არტისტი ხელობით ისე ხშირად იზეპირებს და ითვისებს სხვების, მისთვის სრულებით უცხო ადამიანების როლსა, რომ სრულებით აღარ რჩება დრო და მოცალეობა იმისათვის, რათა თვისი უახლობელესი ადამიანის, საკუთარი თავისი როლსა და დანიშნულებას დაუფიქრდეს ამ წუთი-სოფელში.

ჩვენც ისე ხშირად ვიზეპირებთ და ვითვისებთ ჩვენ ბავშვთა მშობლების და აღმზრდელ-მასწავლებლების როლს, რომ დრო და შეძლება არა გვაქვს დაუფიქრდეთ იმას, თუ რა არის ცხოვრების ამ დარგში ჩვენი მოწოდება და დანიშნულება.

მართლაც, სინიდისის ქვეშ, პირდაპირ, წრფელად დავეკითხოთ ჩვენ თავს: ნამდვილად ვართ თუ არა ჩვენი ბავშვების მასწავლებლებად და აღმზრდელებად მოწოდებულნი? შესაძლოა თუ არა, რომ საქმე აქ უკუღმა დატრიალდეს: იქნებ ჩვენ თვითონ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ბავშვებისაგან, თვით ჩვენ უნდა აღვზარდოთ თავი ჩვენი „ხატებისაებრ და მზგავსებისაებრ“ ბავშვისა.

აი მე, როგორც მასწავლებელი, მიუახლოვდი ბავშვს და სიცოცხლით სავსე თვალებში დავაცქერდი. მე ვფიქრობ, მე ღრმად ჩავინერგე თავში, რომ ჩემი დანიშნულებაა შეგნების შუქით ავავსო ეს პაწია თვალები, რომლებიც ასე შეუგნებლად შეჰხარიან მთელ ქვეყნიერებას. და აი ჩემებურად, მოზრდილურად შეუდექი ბავშვის თვალწინ ამ წუთისოფლის მოვლენათა განმარტებას, ამავე დროს ვუბრძანებ არ გაინძრას, არ იცქიროს მარჯვნივ, ან მარცხნივ და პირდაპირ თვალებში მომაჩერდეს.

აი ბავშვს მოსწყინდა ეს ყველაფერი, მაგრამ მე უკვე ტანში გაუჯდინე შიში, ჩემმა, მოზრდილმა ადამიანის, ნებამ დაჩაგრა და დაამინა მისი ნება, და ბავშვი ყურს მიგდებს მხოლოდ მშრალი გონებით, მისი გული კი სრულებით დაიხშო ჩემთვის და იმ ცოდნისათვის, რომელიც მსურს ამ გულში ჩაუნერგო. სრულებით თავისუფალი, „შეუგნებელი“ ცნობის მოყვარეობის შუქი, რომელიც ამ ბავშვის თვალებში იყო ანთებული იმ დროს, როცა იგი ბაღში დარბოდა და მზის სხივებსა და ქვეყნიერებას შესტრფოდა, აღარ ჩანს შიგა, კვალ-წმინდად გამქრალია. მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ მაწუხებს მე, ამ სულელ ბავშვის გასანათლებლად მოწოდებულ ჭკვიან, მოზრდილ ადამიანს. სრულებით არ უფიქრდები იმ საკითხს, თუ რანაირად მოხდა ეს გაუგებარი, უცნაური ოინი: როგორ დამცირდა და ჩაქრო ამ ბავშვის არსებაში მისი „შეუგნებელი“ სიცოცხლე, როცა მას შეეხო ჩემი, მოზრდილი ადამიანის „შეგნება“ და „გონიერება“. ცხოვრების შესახებ მე ჩვეულებრივი საშუალო ადამიანის მზგავსად ვმსჯელობ:

საქმის გასაადვილებლად ადამიანის არსება რამდენსამე განყოფილებად ან სართულებად დამიყვია და ჩემი და ჩემ მოყვასთა თავის ქალა მიმაჩნია უმაღლეს სართულად და ან ჩარდახად, სადაც ბუნების განკარგულებით უნდა ინახებოდეს ადამიანის ტვინი, რომელსაც სრულებით განსაკუთრებული, სპეციალური საკვები საჭიროა. თუ მოვახერხე და ბავშვის უნებურად მისი სურვილის წინააღმდეგ, ამ მის მაღალ ჩარდახში რაიმე ცოდნა ჩაულაგე, თავს ისე ვგრძნობ, თითქო ამ წუთისოფელში მასწავლებლის წმინდა დანიშნულება შემესრულებინოს. მტკიცედ მჯერა, ის აზრი მაქვს თან-შეზრდილი, რომ ცოდნა, რომელსაც ბავშვს გადავცემ, რაღაც თავის თავად ძვირფასი, თვის შინა საკუთარი ღირებულების შემცველი მოვლენაა.

მე სრულებით არა მაქვს შეგნებული, რომ ადამიანის ტვინი იმისი გულიდან მჩქეფარე სისხლით საზრდოობს. სრულებით არ მესმის, რომ იმ ცოდნას, რომელსაც არ შესტრფის გული, მხოლოდ მექანიკურად ითვისებს ადამიანის ტვინი. იმისათვის, რათა ეს ცოდნა ჩვენ არსებაში განხორციელდეს, ჩვენ ძვალრბილად იქცეს, საჭიროა ადამიანის გულიდან გამომდინარე თბილი გრძნობების ჩქეფი.

მიპასუხებენ: ყველა ამის თქმა ადვილია; თქვენ ის გვითხარით, ამგვარი სიტყვები საქმედ როგორ უნდა ვაქციოთო?

ეს ჩვენ ბავშვებისაგან უნდა ვისწავლოთ. არა როგორც მასწავლებლები, არამედ როგორც მოწაფეები უნდა მიუახლოვდეთ ბავშვებს. საჭიროა ღრმად და დინჯი დაკვირვებით შევისწავლოთ ბავშვების დამოკიდებულება ბუნებასთან, რათა ტლანქი ხელებით არ გავსწყვიტოთ, მათი ნაზი სულიერი კავშირი ამ სოფლიოსთან.

მზის სხივს, თავისუფლად მონავარდე პეპელას სრულებით არ სწადიათ რამე ცოდნა ასწავლონ ბავშვსა, და იგი სულითა და გულით, მთელი თავისი არსებით მიელტვის იმათ. ღრმად უნდა დაუფიქრდეთ ამ საგულისხმო გარემოებას რად უყვარს ბავშვს ასე აღტაცებით ბუნება, რომელსაც დარდი არა აქვს მისი, რად მირბის მასთან და გვტოვებს ჩვენ, მისთვის ყოველნაირ სიკეთის მოსურნე მახლობელ ადამიანებს? ყველა ეს იმიტომაა, რომ ჩვენ გვსურს გადავცეთ ბავშვს ბუნების შეგნება, თვითონ კი ეს ბუნება სრულებით არ შეგვიგნია. ბავშვი ბუნების ნაწილია, უკეთ რომ ვსთქვათ—თვით ბუნებაა; ამიტომაც ასე ძლიერად, ასეთი მხურვალე სიყვარულით მიელტვის იგი ბუნებას. იმის პაწია არსებაში სიცოცხლის იგივე შეუწყვეტელი მოძრაობაა, რომელიც მთელ ბუნებაში სწარმოებს. ბავშვის სიცოცხლე მსოფლიოს სიცოცხლესთან იდუმალი ნათესაობის რაღაც უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული. იმის პაწია თვალებში იგივე მზის შუქია ანთებული, რომელიც თავისუფლად ეფინება ქვეყნიერებას; ვით მონავარდე პეპელას, იმისი მთელი არსებაც თავისუფლების მხიბლავი ტრფიალებითაა აღტაცებული.

ბუნებას არ სურს ბავშვს ასწავლოს რამე, არ სურს რამე ძალა დაატანოს. თავისუფლად, არა ფარული განზრახვით, როგორც სწორი სწორს—უახლოვდება იგი პაწია ბავშვს. და მხოლოდ მაშინ, როცა ამ ბუნების „მელოდს“ შევითვისებთ, იმის „ტენდენციით“ გავიმსჭვალებით, დაუახლოვდებით ჩვენ ამ პაწია ადამიანებს.

ჩვენ უნდა მიუახლოვდეთ ბავშვს ისე, როგორც უახლოვდება იმისი ტოლი და ამხანაგი—პაწია ბავშვი, რომლის მიზიდულებაა თავისუფლად, სავსებისაგან სულისა, უამბობს თავის ამხანაგს რაც უნახავს და გაუგონია. სანამ ჩვენც არ განვავითარებთ და არ ვიგრძნობთ ჩვენში ამ სულის სავსებას, ვერ ვიცნობთ ვერც ჩვენს თავსა და ვერც ჩვენ ბავშვებს. ამ სავსებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა მასწავლებლობის ჰიპნოზისაგან საკუთარი ძალ-ღონით განვთავისუფლდებით, თავს დავაღწევთ მოზრდილობის მანიას და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ რწმენას, რომ გარეშე, მექანიკური დისციპლინა სამკურნალო ძლიერებითაა აღჭურვილი.

ჩემი ცოლის ძმის წულმა, საშუალოდ ნიჭიერმა პაწია რვა წლის ქალმა სულ მოკლე ხანში ასწავლა წერა-კითხვა თავის უმცროს ძმას, ექვსი წლის პაწია ბიჭს. მე თვალყურს ვადევნებდი ამ საყურადღებო პროცესს—ბავშვებს შორის ცოდნის გადაცემას, და დავრწმუნდი, რა ღრმა ჭეშმარიტება სცოცხლობს სახარების სიტყვებში: „რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვილთა“. პედაგოგიის არც ერთ პროფესორს არ შეუძლია ასე ჩქარა ასწავლოს წერა-კითხვა პაწია ბავშვს. მას, როგორც მწიგნობარს, არ შეუძლია ნორჩი ბავშვური სიხარულის განცდა,—იგი ვეღარ შეჰხარის ბავშვურად წერა-კითხვის ცოდნას და ამიტომ არ შეუძლია შეჰყაროს ეს სიხარულება პაწია ბავშვს და საცოდავ გარეგნულ დისციპლინის დაუხმარებლად გადასცეს ის ცოდნა, რომელიც თვითონ შეუთვისებია.

პაწია ქალი, რომელიც თავის ძამიკოს წერა-კითხვას ასწავლიდა, თვითეულ თავისი სიტყვით, თვითეულ მიხრა-მოხრით მხოლოდ იმას გვამცნევდა, რომ იგი ჯერჯერობით გაუფუჭებელი ბავშვია. მასწავლებლობის მანიის ერთი ბეწვიც არ ემჩნეოდა, და ყველა ეს კარგად შეატყო პატარა ბიჭმა იმის სულში დაბადებითვე ჩასახულ უტყუარი ალღოს საშუალებით. სულის თავისუფალი მისწრაფება იზიდავდა მას პაწია ქალისაკენ და ჩქარა ისწავლა ყველაფერი, რაც იმისმა დამ იცოდა. ცოდნის სწრაფი შეთვისების საფუძველი იყო თავისუფლება და თანასწორობა, ბავშვების სულში ღრმად ჩასახული ნათესაობა.

სანამ ჩვენც ამ ნიადაგზე არ დავდგებით, ვერაფერს ვასწავლით ბავშვებს ნამდვილ ცხოვრებისათვის გამოსადეგს და გზა-გზა ვერ გავაცოცხლებთ უდროოდ მიმქრალ ჩვენ ადამიანურ სულს.

ილია ნაკაშიძე.

პატარა ფელეტონი

დროს გარეშე

არ ვწუხვარ, რომ დღესა წვიმს. მზეც რომ ყოფილიყო, მაინც ჩემს გუნებაზე ვიქნებოდი!..

ჰმ! ეს ჩემი გუნება!!.

რომ წვიმს, ვამბობ:—ბალან აშლილ ქეციან ძაღლის ყმუილს მაგონებს დღევანდელი დღე! ცას პირი ლაფით აქვს შემურული, დედამიწას კი ამ ლაფის ჩამონარეცხით!! —შერცხვენილია ცაც და დედამიწაც!!

ვამბობ ამას გულგრილად, გაუჯავრებლად, მხოლოდ ისეთის ფაქტის აღსანიშნავად, რომელიც სრულიად არ შემეხება. ვამბობ ისე, როგორც ვიტყვი ხოლმე, როცა მეზობლის ეზოში კონკილაზე აყენებულს ურემს დავინახავ—„ჩემს მეზობელს ურემი კონკილაზე შეუყენებია-მეთქი!!“

მზე რომ იყოს, ვიტყოდი: კარგი დღეა. ზურმუხტოვანს დედამიწაზე ცელქი ნიავი დაფარფატობს. ყოველს ფრთის გაკვრაზე მდელო ყურს აცქვეტს და ღიმილით უსმენს დაუწყნარებელ მოსისინეს! — პირმცინარია ცაც და დედამიწაც!!

ვიტყოდი ამას ბლუფრთოვანებლად, ამასაც გულგრილად, ისე როგორც ვიტყვი ხოლმე, როცა ლამაზსა და კეკლუც თამარს დავინახავ: —თამარის თვალებში გრძნილ-ხვეულებად გამოხატებულა ქალური შვენებანი-მეთქი! და ეს ხომ იმდენად შემეხება მე, რამდენად კონკილაზე აყენებული ურემი!!

ჰმ!.. ეს ჩემი გუნება!!

ჭეშმარიტად, დროზე არ არის დამოკიდებული ჩემი გუნება, ჩემი სულიერი განწყობილება! მახსოვს კარგი დარი, დღევანდელზე უარესიც მახსოვს, ხოლო არ მახსოვს, რომ სხვანაირს გუნებაზე ვყოფილიყავი!.. ეს არც ჩემს ერთგულს მურა-ძაღლს ახსოვს! მას ერთხანს უკვირდა ჩემი გუნების ერთგვარობა, მაგრამ ბოლოს შეეჩვია და ხანდახან თუ შემომხედავს გაკვირვებით. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა მურა მხიარულია. დღესაც, არ ვიცი რატომ, წვიმს, მაგრამ მურა კარგს გუნებაზეა. მან მორიდებით და ვედრების გამომხატველ თვალებით შემომხედა, თითქო გაუბედავად მისაყვედურა რაღაცა და თან შემეხვეწა:

— ნუ ხარ ასეთს გუნებაზეო!

მურას თვალითვე ვუპასუხე, და ისიც დარცხვენილი მომშორდა, თვალები დახუჭა და ერთს ხანს თავის გონებაში სწონავდა ჩემს პასუხს.

მერე გაახილა თვალები და მკითხა:

— ვითომ არ კმარა ამდენი...

შევაჩერე, სიტყვა გავაწყვეტინე. თითქმის წყრომით შევხედე. მურა დანაღვლიანდა და ნისლოვანს სივრცეს გააყოლა თვალები.

— ალბად არ კმარა...—ამბობდა მისი გამომეტყველება.

მეც სივრცეს გავხედე... ჩემთვის სულ ერთია იქ წვიმაა, თუ დარი!! განა არ ვიცი, რომ არას მეტყვის არც ერთი და არც მეორე?

...ჰო, ჭეშმარიტად არ ვწუხვარ, რომ დღეს წვიმს!.. მზეც რომ ყოფილიყო მე მაინც ჩემს გუნებაზე ვიქნებოდი!!

ლეო ქიაჩელი.

ჰაუპტმანის იუბილე

ამ ცოტა ხანში გერმანიაში დიდის ამბით გადაიხადეს ჰაუპტმანის იუბილე 50 წლის შესრულების გამო. სახელოვან დრამატურგს ბევრი მისასალმებელი დეპეშა და წერილი მოუვიდა. სხვათა შორის ჰაუპტმანს მიესალმა მაქსიმ გორკი.

„დიდის პატივისცემით მივესალმები ჰერგარტ ჰაუპტმანს, ვინც ჩემს სამშობლოს ძლიერ უყვარსო, სწერს გორკი.

„მისი ფაქიზი, მგრძნობიარე, გულთამხილავი ნიჭი ხალხისთვის სიკეთის წყარო იყოო. ამ ნიჭმა ხალხის გული და გონება გააშუქა და აამაღლა უმაღლესი მშვენიერების ნიმუშებითო.

„ჰაუპტმანი ის პოეტია, ვინც ღრმად განიცადა ცხოვრების ტრაღიზმი, მაგრამ მაინც იდეალისტად დარჩა და ხალხს მისცა რწმენა, იმედი იმისა, რომ მშვენიერება და გონივრება ოდესმე გაიმარჯვებს.—ეს დიდებული დამსახურებაა კაცობრიობის წინაშე. ადამიანთა ცხოვრებაში შემაკავშირებელ როლს არაფერი თამაშობს ისე, როგორც ხელოვნება და მეცნიერება. ჰაუპტმანმა ბევრი რამ გააკეთა ისეთი, რაიცა ადამიანთა კრებულს ერთ ოჯახად ჰქმნიდა.

„იგი ჯერ კიდევ ბევრს გააკეთებს ადამიანთა გაერთიანების საქმისთვისო. გულით და სულით მივესალმები „ჰანელეს“ „ფეიქრების“ და „ჩაძირულ ზარის“ ავტორს; ვისურვებ პოეტისათვის ჯანსაღობას, სიმხნევეს და შემოქმედებითი ზეშთაგონებას. „გაუმარჯოს ცხოვრებას, გაუმარჯოს ხელოვნებას“.

„გაუმარჯოს ჰაუპტმანს, გაუმარჯოს დემოკრატიას, ვინც ჰაუპტმანი წარმოშობა!“

არჩევნების შედეგი

ზომიერ მემარჯვენეებს აზრათა აქვთ თავმჯდომარედ თ-დი ვოლკონსკი აირჩიონ. პროგრესისტებს საჭიროდ მიაჩნიათ, ყველა ოპოზიციონური ფრაქცია შეთანხმდეს თავმჯდომარის არჩევანში. კადეტთა ფრაქციაში, „რეჩი“-ს გამოანგარიშებით. 65 დეპუტატი ითვლება, წინანდელთან შედარებით შედარებით 12 დეპუტატი მეტია.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

სერბიის მხრით.

უსკიუბი. სერბიის ჯარს ალესიოში დახვდა ბერძნების გემები, დატვირთული სამხრო სურსათით.

ბელგრადი. ოფიციალი დეპეშით, მონასტრის ბრძოლაში ოსმალებს 80,000 გაწვრთნილი ჯარის-კაცი ჰყავნდათ 100 ზარბაზნით. ოსმალების განდევნა პოზიციებიდან სერბიელებს ძლიერ გაუჭირდათ. ხმელეთის ჯარს ქაობიან ალაგებზე უხდებოდა სიარული. ოთხი დღის განმავლობაში ოსმალებს 20,000 ჯარის კაცამდე დააკლდათ. სერბიელების დანაკლისი უმნიშვნელო.

ბელგრადი. მონასტერთან ბრძოლის დროს სერბიელებს დაუჭრეს და მოუკლეს 8.000 კაცი.

ბელგრადი. პირველ ლაშქრის შტაბი პრილეპიდან მონასტერში გადავიდა მონასტერში შევიდა მემკვიდრე ალექსანდრე.

საბერძნეთის მხრით.

ათინა. ოსმალეთის კონტრომინონოსი „იტალია“, ამას წინად რო ოსმალებმა ჩაძირეს, ბერძნებმა იპოვნეს. „იტალია“ ბერძნების გემად ითვლება.

ათინა. ბექირ-ბეის უეცრივ თავდასხმის ხმა ვრევენუზე მართლდება. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

ოსმალეთი.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა 7 ნოემბერს იტყობინება ტელეგრაფით: ყურად-საღები ბრძოლა არ მომხდარა.

სტამბოლი. კერძო ცნობებით საზავო მოლაპარაკების გასამართავად გენერალ სავოვთან, ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა იზეტ ფაშა და პორტის იურისკონსულტი ჩაბანბეი. ორივე დელეგატი ლაშქრის მთავარ ბინაზე მიემგზავრებიან. პირველი ნახვა ბულგარეთის და ოსმალეთის დელეგატებისა 8 ნოემბერს მოხდება.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით

სტამბოლისაკენ.

სტამბოლიდან იუწყებიან: მესამე დღეა, რაც ჩათალჯასთან გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. გუშინ მთელი ღამე სტამბოლში ზარბაზანთა განუწყვეტელი გრიალი ისმოდა, რომელიც თან და თან ახლოვდება. ოსმალთა ჯარის მთავარ-სარდალი ნაზიმ-ფაშა თეთრი ცხენით უვლის რაზმებს და ამხნევებს ჯარს. ოსმალებს არ სჯერათ, რომ მათ წინააღმდეგ მხოლოდ ბულგარელები იბრძვიან — იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ მტერს „მოსკოვიტები“ ეხმარებიან. გამოქცეულთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. შეშინებულ მცხოვრებთ ზარბაზნის ქუხილი ძილსა და მოსვენებას არ აძლევს; ღამ-ღამობით აზიის სანაპიროებზე გადააქვთ ქონება და განძეულობა.

კალიკრატიის აღება.

ხმებია, ბულგარელებმა კალიკრატია (მარმარილოს ზღვის ნაპირზეა) აიღესო. ბრძოლის დროს დიდად დაზიანებულა ოსმალეთის ჯავშნოსანი „მესუდიე“.

ბულგარელები გალიპოლისკენ იძვრიან.

სტამბოლიდან იტყობინებიან: ბულგართა ძლიერი რაზმი ქ. გალიპოლისკენ (დარდანელის სრუტეზეა) მოიწევს, სადაც ამას წინად ბერძნებმა 25.000 ჯარისკაცი გადმოსხეს. გალიპოლის საშველად გაიგზავნა თურღუთ-ფაშა 40.000 კაცით.

ჩათალჯის იერიში.

სოფიიდან ცნობაა: ბულგარეთის ჯარის მთავარ-სარდლებმა გადასწყვიტეს, იერიშით აიღონ ოსმალთა სიმაგრეები. დაიწყო არტილერიის ბრძოლა. ფორტებზე წართმეული ზარბაზნები ოსმალთა სანგრებს დაუმიზნეს. ცხენოსანი ჯარი მარჯვენა ფრთის შესაკვეცად გაემართა.

ჩერნოგორიის მხრით

ქ. სკუტარის ალყა.

ცეტინიედან იტყობინებიან: უკანასკნელ დღეებში განუწყვეტელი ბრძოლაა სკუტარის გარშემო. ყაზარმები სრულიად დანგრეულია. სკუტარის აღმოსავლეთით ჩერნოგორელების არტილერიამ ჩააჩუმა გოლუმის მთის ოსმალთა ზარბაზნები, რისშემდეგაც ქვეითმა ჯარმა იერიშით აილო ეს სიმაგრე.

ოსმალეთის მხრით.

ხოლერის შიში.

ოსმალთა ჯარში ხოლერა მძვინვარებს, დიპლომატიურ კორპუსის თავჯდომარემ, მარკიზ პალავიჩინიმ ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვა: მიიღე შესაფერი ღონისძიება, რომ სენი ევროპას არ მოედოსო.

ღენ. ჯემალის მოკვლა.

სტამბოლიდან იუწყებიან: ბაღდადის გუბერნატორად ნამყოფი ბრიგადის უფროსი ღენ. ჯემალი ჯარისკაცებმა მოჰკლეს.

სომხების ამოჟლეტა.

სომხთა სტამბოლის პატრიარქს ცნობა მისვლია, რომ რამდენიმე ადგილს უკვე დაიწყო სომხეთა ჟლეტაო.

ხონთქრის ტახტიდან გაგადგომა.

სოფიაში ხმა გავრცელებულა: როგორც კი ბულგართა ჯარი სტამბოლში შევა, ხონთქარს განზრახვა აქვს ტახტიდან გადადგესო.

ოსმალეთის ფლოტი.

ოსმალეთის ჯავშნოსან „თურგუთრეის“-ის უფროსი დეპეშით ატყობინებს სტამბოლში რომ ოსმალეთის ფლოტი ზარბაზანს უშენს ბულგარელების სანგრებს როდოსტოსა და სილივრში, ხოლო კრეისერი „მესუდიე“ და ორი ნაღმოსანი დერკოსის ტბასთან იბრძვისო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

მეფის გაკვირვება.

ვენა. იმპერატორ ფრანც-იოსებმა დელეგაციის წევრებს სადილი გაუმართა. გაზეთების სიტყვით, ამ სადილზე მეფეს გაკვირვება გამოუთქვამს, თუ როგორ შესძლეს ბულგარებმა ბრძოლა და რატომ ოსმალებს ბედმა არ გაუღიმა.

ბელგრადი. სერბიის მთავრობამ დაადგინა შეუფერხებლივ მივიდეს ავსტრია-ჰუნგრეთის კურიერი პრიზრენში და თავისუფალი ურთიერთობა იქონიოს ავსტრიის მთავრობამ თავის საელჩოსთანო.

ბუდაპეშტი. ქელტაიმ სადილი გამართა ჰუნგრეთის დელეგატების პატივსაცემლად. ბევრი სიტყვა წარმოითქვა, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ორატორები გამოსთქვამდნენ სურვილს, რომ ჰუნგრელები, გერმანელები და პოლონელები ერთსულოვნად ჰმოქმედებდნენ მონარქიის ინტერესის დასაცავად.

ჰუნგრეთის დელეგაციამ დამტკიცა საზღვაო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

პარიზი. პუანკარემ მიჰმართა პორტას წინადადებით უზრუნველ ეყო ქრისტიანები ოსმალთა დარბევისაგან.

გაზეთებიდან

ბულგარეთის განზრახვა.

სოფიის პოლიტიკურს წრეებში ამბობენ: თუ ოსმალეთი დაუყოვნებლივ წარმოგვიდგენს ისეთ პირობებს, რომელთა მიღებაც შესაძლებელი იქნება, ბულგარეთის ჯარი სანსტეფანოს რკინის გზით წავა სტამბოლისკენ. თუ დროებით ზავი არ მოხერხდა, მაშინ ლაშქარი კონსტანტინოპოლის ნახევარ კუნძულის ჩრდილო ნაწილით დაიძვრის პირგოსსა და ქეათხანეს მაღლობებისკენ, რომელნიც სტამბოლს დასქერიან თავს. ეს გზა მით არის მოხერხებული, რომ ოსმალეთის ფლოტი ვეღარ შესძლებს მარმარილოს ზღვიდან წინააღმდეგობის გაწევას.

ზავის პირობები.

სოფიიდან იტყობინებიან ზავის დამატებით პირობებს. სტამბოლი საერთაშორისო ქალაქად გადაიქცევა, რომელსაც ევროპის ჯარი დაიცავს; სალონიკი თავისუფალ ქალაქად შეიქნება ბალკანეთის კავშირის მფარველობის ქვეშ, ხოლო სრუტეები ყველა სახელმწიფოს სავაჭრო და სამხედრო ფლოტისთვის ღია დარჩება; ოსმალეთს აღარ ექნება არავითარი სამფლობელო ევროპაში, მისი სატახტო ქალაქი ბრუსაში უნდა გადავიდეს. ეს პირობები რომელნიც ბულგარეთის ორმა ღენარალმა გადასცა ოსმალეთის მთავრობას, მოთხოვნილებათა მინიმუმს შეადგენს.

ავსტრია და სერბია.

სოფიიდან იუწყებიან: სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა (ინგლი-

სი, საფრანგეთი და რუსეთი) რომელნიც მხარს უჭერენ ადრიატიკის ზღვაზე სერბიის მიერ ნავთსადგურის შეძენას, დაიყოლიეს ავსტრიის მთავრობა: სერბიას და ჩერნოგორიას ერთად მიეცემა სან-ჯიოვანიდი-მედუას ნავთსადგური.

უცხოეთი

კანალეხასის მკვლელობა.

იმ დღეს, რა დღესაც საშინელი მკვლელობა მოხდა კანალეხასი სახლში იმყოფებოდა. სასახლიდან რომ გამოდიოდა, ქარმა კარები მიაჯახუნა და მინისტრს სახეში მოხვდა. მინისტრმა ხუმრობით სთქვა: „ეს კარგი ნიშანი ვერ არის, ქარიშხალის მოლოდინში უნდა ვიყოთო“.

ამ სიტყვების შემდეგ გაიარა რამდენიმე წუთმა და მისი წინასწარმეტყველება ასრულდა. მეფისაგან ის მიდიოდა შინაურ საქმეთა სამინისტრო'ში, საცა საბჭოს კრება უნდა მომხდარიყო. ამინდი ცუდი იყო. ცივი ქარი საშინლად უბერავდა. მინისტრს მდივანი ეუბნებოდა სახლში დაბრუნებულიყო, გაციებისა ეშინოდა. მინისტრმა უპასუხა: „არაფერია. სამინისტრომდის ორი ნაბიჯია. წიგნის მაღაზიაში მინდა კიდევ შევიაროო“. მაღაზიასთან რომ მივიდა, შეჩერდა და წიგნებს დათვალიერება დაუწყო. ამდროს მიუახლოვდა ჩინებულად ჩაცმული ყმაწვილი კაცი და გვერდში ამოუდგა: მინისტრი მაღაზიის კარებისკენ გაემართა, უეცრივ გაისმა რევოლვერის ხმა! სამი ტყვიით განგმირული კანალეხასი დაეცა. მხოლოდ მოასწრო ეთქვა პოლიციელისთვის: „აგე იმ ბილწმა მომკლაო“, და სული განუტევა. პოლიციელი დაედევნა მკვლელს, ერთი ესროლა, მაგრამ გაასცდინა. მკვლელმა დაინახა ხსნა არსაიდან იყო და თავი მოიკლა. კანალეხასის გვამი სამინისტროში გადაასვენეს. ყველა მინისტრი იქ იმყოფებოდა, ერთის გარდა, რომელსაც გული შესწუხებოდა ამ ამბის გაგონებაზე. გაიგო თუ არა მეფემ ეს საზარელი ამბავი, გამოვარდა გარედ, ჩაჯდა პირველსავე ავტომობილში და სამინისტროსკენ გაექანა. მეფის მოლოდინი არავის ჰქონდა, ყველა გააკვირვა ამ გაბედულმა საქციელმა. მეფემ ილოცა რა კანელეხასის გვამის წინაშე სამინისტროდან გაემგზავრა. შეძრწუნებული ხალხი შეგროვდა სამინისტროს სახლის წინაშე. როცა მეფეს მოჰკრა ბრბომ თვალი, ერთხმად დაიყვირა: „გაუმარჯოს ჩვენ გულად მეფესო“! მეფე ქვრივთან წავიდა სამძიმრის სათქმელად. შემდეგ სასახლეში დაბრუნდა. ხალხის სიხარული, გამოწვეული მეფის საქციელით და მწუხარება კანელეხასის მოკვლის გამო, ერთმანეთში აირია.

მკვლელი აღმოჩნდა მანუელ კარდინასი. იგი 32 წლისა იყო. პარიზის და მორდოს პოლიცია კარგად იცნობდა კარდინას, როგორც ანარქისტს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

9 ნოემბერი

რომი. იტალიის ელჩი ბერლინში პანზა დაითხოვეს; მის ნაცვლად დანიშნეს გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანი ბოლატინი.

კინგსტონი (კუნძული იამაიკა). რამდენიმე დღეა საშინელი ქარიშხალი უბერავს.

ბრიუსელი დეპუტატების პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა უკუ აგდო სოციალისტების წინადადება კონსტიტუციის შეცვლის გამო, რადგანაც გაფიცვას იმუქრებოდნენ. სოციალისტებმა სთქვეს, მომენტი ფრიად სახიფათოაო.

პარიზი. „მატენს“ მარსელიდან ატყობინებენ: აქ მოვიდნენ ჯავედბეი და ხაკი-ბეი. ისინი ამბობენ, რომ საიდუმლო მონდობილობით არიან მოსულნი, მაგრამ როგორც ირკვევა, გამოქცეულნი ყოფილან სტამბოლიდან, რათა დატუსაღებას ასცდნენ.

რუსეთი

პეტერბურგი. ფინანსების მინისტრს სახელმწიფო სათათბიროში შეაქვს ევროპის და აზიის რუსეთის საბაჟო გაერთიანების წინადადება. ამისთვის საჭიროა საბაჟო დებულების საერთო წესები გავრცელდეს ციმბირში, კავკასიაში და ასტრახანის გუბერნიაში.

პეტერბუგი. პეტერბურგის კონსერვატორია 16 ქრისტიშობისთვეს იდღესასწაულებს 50 წლის არსებობის იუბილეს.

თეატრი და ხელოვნება

ზუბალაშვილის სახალხო სახლში, 28 ნოემბერს ტფილისის ბერძენთა დრამატიული წრე გამართავს წარმოდგენას, ომში დაჭრილ მეომარ ბერძენთა სასარგებლოდ. დასდგავენ არგიროპულოს 4 მოქმედებიან ტრაგედიას „ეკატერინე და სანჯპულოსი“, და აგრეთვე ცოცხალ სურათებს საბერძნეთის განთავისუფლების ხანისას.

ლანჩხუთი. 2 ნოემბერს ბ. მ. იმნაძის მეთაურობით და ქუთაისის არტისტების მონაწილეობით უნდა წარმოედგინათ „სტუდენტის სიყვარული“ პიესა 3 მოქ. აბაშიძისა. მაგრამ მსახიობის ავადმყოფობისა გამო ვეღარ დასდგეს და ითამაშეს ორ მოქ. კომედია „ადამ და ევა“ და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „მონადირე“. კარგი იყო ქ-ნი მ. მდივანი „მონადირეში“ (ნუცა). მისმა ცქრიალა თამაშმა მოჰხიბლა საზოგადოება. კარგი იყო ბ. ვასო ურუშაძე „ადამ და ევაში“ (ივანიკა) და ძლიერ აცინა საზოგადოება. ბოლოს ბ. ვ. ურუშაძემ წაიკითხა გურული სცენები, რამაც დიდი სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში. ხალხი ბევრი დაესწრო წარმოდგენას. შემოსავალი იყო 115 მანეთამდე.

ლანჩხუთი. (გურია) 2 ნოემბერს მიხაკო იმნაძის თაოსნობით და ქუთაისის დრამატიულ დასის მსახიობთა მ. მდივანის ასულის და ვ. ურუშაძის მონაწილეობით გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სათეატრო შენობის სასარგებლოდ.

წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და შემოსავალიც დასტოვა, მხოლოდ ხალხი უკმაყოფილო დარჩა, რადგანაც აფიშებში აღნიშნულ პიესის („სტუდენტის სიყვარული„) მაგიერ, (მონადირე“ „ადამ და ევა“) დასდგეს.

ბევრი აცინა გრული სცენის წაკითხვით საზოგადოება მსახიობმა ვ. ურუშაძემ.

4 ნოემბერს მოხდა ლიტერატურული გასამართლება ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის „მოსე მწერლის“-ა. იყო სიმღერებიც და გურული სცენები. გასამართლებამ უფერულად ჩაიარა. . . . გურული სცენების წაკითხვით ბევრი აცინა საზოგადოება ა. წულაძემ. ხალხი აქედანაც უკმაყოფილო წავიდა, რადგან აფიშებში გამოცხადებულ პირთა აგიერ, სულ სხვა პირები გამოვიდნენ დამცველ ბრალმდებელ მოსამართლეებად.

ალიმანი.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში მოათავსოთ ეს წერილი.

ამ წლის 10 ოქტომბერს მე, გაზეთ „კურიერი“-სა და „კურიერ-კოპეიკა“-ს თანამშრომელი შეველ სარედაქციო აბონიმენტის ბილეთით ზუბალაშვილის სახალხო სახლში „უდანაშაულოდ დასჯილნი“-ზე დასასწრებლად, რომელიც დასდგა სახალხო სახლთან არსებულმა რუსულმა დრამატიულმა წრემ. ამ წრის თავმჯდომარემ—ბ-ნმა ბუკშტეინმა საჭიროდ სცნო არ შევეშვი წარმოდგენაზე, იმისდა მიუხედავად, რომ ზემოხსენებულ გაზეთს ქალაქის თვით-მმართველობისაგან ერთი ადგილი აქვს დათმობილი სახალხო წარმოდგენებზე სეზონის განმავლობაში.

ვიფიქრე, ამით დასრულდა მეთქი საქმე, მაგრამ, არა. მიველ 3 ნოემბერს მეორე წარმოდგენაზე და ბ-ნმა თავმჯდომარემ მორიგ წევრის ბ-ნ ფეფელოვის პირით, დაბეჯითებით მოითხოვა ჩემი გამოყვანა დარბაზიდან, თუმცა კიდევ განუცხადე რომ მე უფლება მაქვს წარმოდგენას დავესწრო.

საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რითი ხელმძღვანელობს ბ-ნი ბუკშტეინი, როდესაც მიკრძალავს რუსულ წარმოდგენების დასწრებას. შესაძლებელია ბ-ნ თავმჯდომარეს რუსულის წრისას არავითარი საბუთიც არა ჰქონდეს და თავის ქეიფზე იქცევა: თუ ჰნებავს შეგვიშვებს, ჰნებავს—არა... როგორც იტყვიან, „ჩემი ქეიფი ასეთია!?“

უღრმესი პატივისცემით
გრიგორი ეპიროვი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

თ მ ი ს
ს ა ლ ე ბ ა ვ ი
კაკლის ექსტრაქტისა.

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპტშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. თევდ. მიულჰენსი,
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი
[illegible] ედარ [illegible] რიგა.
დაარს. 1792 წ.

ფასი 1 ფლაკ. 2 მ. 20 კ.
დიდი ფლაკ. 2 მან.
Метцль. 309266. 309286. 1432

მატარებელთა მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 26 წ. **სამგზავ.** № 6, შუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 166. საღ. 7 ს. 29 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს. 28 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 28 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № [illegible], ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსაკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: **სახ.-საბ.** № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: **სახ.-საბ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს 55 წ.

ბათომიდან: **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: **ს.ხ.-საბ.** № 8/7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: **სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვ.-დან სურამში **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62 დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: **სახ.** № 76, დილ. ს. 25 წ, **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: **სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; **სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: **სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი ა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ,** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 მ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველი: თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

15 ოქტომბრიდან,

შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.

(დრო ტფილისის საათით.ა აღნიშნული).

„ვაჭრობა - ნავოსნობის“ საზოგადოე'ბის გემები.

ბათომიდან გადის:

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოე'ის გემებისა.

ბაქ.-დან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, ', ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

606—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავასართვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეგტაბეგიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, [illegible]ლებისა და ბავშვებისა.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბეგტაბეგიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი ბ. ა. ნ. გახარდიანი.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყ ო ვ ე ლ
ნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მეხანიკური ნაწარმოები.

683.

ქიათურის

ზედ-ქვის (ა-რჩევ) მეჭარხნეთა საკუთრებლებით [illegible] ბელი ლდედები [illegible] „Трудовикъ“-ისა წარმომადგენელი ქიათურაში: ძმ. პ. გ. და მ. ლომაძე. 1560.

სუსუნატის წინაამდეგ ახალი წ ა მ ა ლ ი „SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება ცოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672. წ. 1161

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობისა.

K
ЧАСЫ АНКЕРЪ
СЕКЦИЯ НА 15 КАМ

ოქროს საათის ადგილას, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ.ნ. 70 კ. ღირს, გირჩევთ **ხრონომეტრს**, რომელიც იოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროს სა თს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვ ლ ოქროში. საათი ბეჭდლია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კაცების თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 სა თში ერთხელ იმ რთვება. ჩვენი ფირმის გა ავრცელებლად ყოველ საათს ს ჩუქრად ვატან 20 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამდვილ ამერიკ. ოქროს ძეწკვ, 2. ბრელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ხამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერ. ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან ს ფულეს, 10 შემკეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის სალებავი, 12, დაბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას**, 13, პარიზს პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელი, 14—19 ამ პლასტოგ ჩ მეტ დ საგულისხმო სურათი, 20. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს სანახაო ს. ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ ა ეთივე სახურავიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზ ვნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

მისამართი: Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.

მეტცლ. № 61273. 1590

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	„	80 „
III „	„ნააზრევი“	„	65 „
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“–„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

არსდება შრომის არტელი

300 კაცისაგან, რკინის გზაზე ბარგის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, სათავდებო თანხად საჭიროა 40 მანათი.

მიჰმართეთ კომერციულ ბირჟის არტელის კანტორაში:

პუშკინის ქუჩა, № 3. 1575.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა ასრულებს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სასიმღერო და საგალობელი ნოტები:

„ლიტურღია“ ხუნდაძისა. გურულ იმერული კილო. . . 60 კ.
„ლიტურღია“ კარბელაანთ კილო . . . . 40 „
„მწუხრი“ ერთხმოვ. გალობა 15 „
„ცისკარი“ II ნაწ. ვას. კარბელაშვილის. . . . . . 1—50 „
„ცისკარი“. ღმერთი უფალი სულხანიშვილი . . . . 35 „
აღდგომის საგალობელნი ქორიძისა . . . . 50 „

ახალი წიგნები:

„გრდემლი“ სალიტერატურო კრებული II . . . . ფ. 1—50 „
ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭ. . 50 „
ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახ. ოსმალეთში. . . 50 „
„ყაჩაღები“ შილლერ. ნათ. ნ. ა. 50 „
Къ матеріаламъ по исторіи и древностіямъ Грузіи и Россіи М. Джанашвили. 1—25 „
კონსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე. . . . . 15 „
გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართ. მეფისა. . 15 „
უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო. . . . . . . ფ. 10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი ძმ. ძევლოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

◆ შავი ხიზილალა ◆

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.